ᲛᲔᲮᲘᲙᲝ. კონტაქტორულ ჯგუფს და მხარდამჭერის ჯგუფს განზრახული აქვთ განაგრძონ მეცადინეობა, რომლის მიზანია ვითარების პოლიტიკური მოწესრიგება ცენტრალურ ამერიკაში. ეს ნათქვამია ვენესუელის, კოლუმბიის, მექსიკისა და პანამის, აგრეთვე არგენტინის, ბრაზილიის, პერუსა და ურუგვაის საგარეო საქმეთა მინისტრების აქ გავრცელებულ ერთობლივ კომუნიკეში, რომელიც მიიღეს ცენტრალური ამერიკის ხუთ ქვეყანაში მათი მოგზაურობის შედეგების გამო. ეს სამშვიდობო მისია, რომელშიც მონაწილეობდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ამერიკის სახელმწფოთა ორგანიზაციის გენერალური მდივნები, მოეწყო იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ რეგიონალური მოლაპარაკების პროცესის განახლებას, რომელსაც ყოველნაირად აბრკოლებს რეიგანის ადმინისტრაცია.

რეგიონის ყველა სახელმწიფოს მეთაურმა, ნათქვამია კომუნიკეში, ცხო, რომ ცენტრალურ ამერიკაში შეიქმნა სეროზული სიტუაცია, რომელსაც ახასიათებს საომარი მოქმედების ესკალაცია და მოლაპარაკების შეფერხება. სამშვიდობო მისიის მონაწილეთა აზრით, დიალოგის გზაზე მთავარი დაბრკოლებაა პრობლემების გადაწყვეტისა და პოლიტიკურ უთანხმოებათა დაძლევისადმი სხვადასხვა მიდგომა, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის დარღვევების მრავალი ფაქტი და მთელი რიგი სამშვიდობო ინიციატივების განხორციელების პოლიტიკური ნების უქონლობა.

ცენტრალური ამერიკის ყველა სახელმწიფოს მთავრობას, ნათქვამია კომუნიკეში, კონტადორული ჯგუფი მიაჩნია რეგიონალური კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების ყველაზე მისაღებ ინსტრუმენტად. ამის გათვალისწინებით კონტადორული ჯგუფი და მხარდამჭერის ჯგუფი ყველა დაინტერესებულ მხარეს მოუწოდებენ ხელი შეუწყონ მოლაპარაკების პროცესს დაუყოვნებლივ განახლებას, კონკრეტული მოქმედებით დაადასტურონ, რომ მზად არიან დიალოგისათვის და თავს შეიკავებენ ძალის გამოყენებისა და ისეთი ნაბიჯების გადადგმისაგან, რომლებიც შეაფერხებს მოლაპარაკების პროცესს. საჭიროა, რომ შეერთებულმა შტატებმაც შეიტანოს თავისი წვლილი ცენტრალური ამერიკის პრობლემების მშვიდობიან გადაწყვეტაში, განაცხადეს ლათინური ამერიკის რვა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲔᲑᲐᲡ

ᲠᲝᲒᲝᲠ „ᲕᲣᲛᲙᲕᲠᲜᲐᲚᲘᲗ“ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚ-ᲒᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲗ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲗ კი არა, კომპიუტერების რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით შეუდგნენ მათ პროფილაქტიკურ შემოწმებასა და რემონტს საქართველოს გამოთვლითი კომპლექსების მომსახურების თბილისის რეგიონალური ცენტრის ოსტატები. პრაქტიკამ გვიჩვენა: ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების მუშაობის საიმედობის უზრუნველყოფის ახალ სისტემაზე გადასვლა დაახლოებით ოცი პროცენტით შეამცირებს სხვადასხვა უწესივრობის გამო მათი მოცდენის დროს. ასეთი ეფექტის მიღწევა შესაძლებელი გახდა იმით, რომ ელექტრონული „დისპეტჩერის“ მუშაობისათვის გამოიყენეს პროგრამების პაკეტი, რომელიც შეიმუშავეს თბილისის სპეციალური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ალგორითმის“ ცენტრის თანამშრომლებმა მოსკოველ კოლეგებთან ერთად. მასში სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ითვალისწინებენ არა მარტო მთლიანად კომპიუტერის, არამედ თითოეული მისი შემადგენელი კომპონენტის მუშაობის საიმედოობის ხარისხსაც, ახლა უფრო რაციონალურად იხარჯება ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების სათადარიგო ნაწილები, გაუმჯობესდა მათზე გამოთვლითი ცენტრების მოთხოვნილების დაგეგმვაც.

სპეციალისტები ამ და მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი ნამუშევრებისათვის სსრ კავშირის საბალხო მეურნეობის მიღწევათა 1986 წლის გამოფენის ათზე მეტი სხვადასხვა medlit დაჯილდოვდნენ. ● (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲐᲡᲔ ᲡᲐᲓᲐᲒᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲚᲔᲕᲔᲚᲘ,

ᲐᲜᲣ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲓᲐᲔᲛᲗᲮᲕᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲖᲝᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲒᲘᲠᲩᲐᲜᲘᲫᲔ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲣᲚᲘᲐᲜᲐ ᲒᲘᲠᲩᲐᲜᲘᲫᲔ ᲛᲘᲡᲐᲛᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲩᲕᲔᲜ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲪᲘᲗᲘᲡᲐ ᲓᲐᲠᲒᲘᲗ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲗ „ᲠᲐ ᲒᲐᲒᲐᲢᲐᲜᲝᲗ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚ ᲬᲚᲔᲚᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲑᲘᲓᲔᲗ ᲡᲐᲒᲐᲘᲡᲝᲜᲗ“. ᲐᲥ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ „ᲡᲐᲞᲐᲠᲘᲙᲛᲐᲮᲔᲠᲘ №8“ ᲔᲮᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲙᲚᲝᲜᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ:

ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲑᲘᲣᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐ ᲡᲐᲛᲗᲮᲘᲡ ᲒᲘᲜᲐᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ.

ᲛᲓᲒᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲣᲠᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲑᲘ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲚᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ), ᲠᲝᲛᲚᲘᲪᲘ ᲙᲝᲠᲓᲘᲜᲐᲪᲘᲐᲡ ᲣᲬᲔᲕᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲥᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ.

ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲛᲐ თვითონ გამოსვლებში განაცხადეს, რომ გამალებული ბირთვული შეიარაღებისა და სხვა მასობრივი მოსპობის საშუალებათა წარმოების შეკავებისათვის, განიარაღებისათვის ხალხების ბრძოლა მომავალ თაობათა კეთილდღეობისათვის ბრძოლაა.

გამალებული შეიარაღების ესკალაციას არა მარტო საშიშროება მოაქვს კაცობრობისათვის, არამედ ნთქავს კიდეც რესურსებს, რომელთა მარაგი სულ უფრო კლებულობს, აღნიშნა, კერძოდ, საერთაშორისო ჰუმანიტარული პრობლემების დამოუკიდებელი კომისიის ორგანიზაციის წარმომადგენელმა მ. ბეყდაუმ (ალჟირი). საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის იარაღის შეუკავებელი დაგროვების მძიმე შედეგები იგრძნობა არა მარტო იმ ქვეყნებში, რომლებსაც უშუალოდ აწევთ გამალებული შეიარაღების ტვირთი, არამედ სხვა სახელმწიფოებშიც. ეს განსაკუთრებით ახდენს გავლენას მრავალი განვითარებადი ქვეყნის მდგომარეობაზე, სადაც შეიარაღების ხარჯები არ იძლევა საშუალებას საკმარისი სახსრები გამოყონ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

კონფერენციის ერთ-ერთი მიზანია შეიმუშაოს კაპიტალისტური სამყაროს უდიდესი სოციალური ბოროტების უბინაობის წინააღმდეგ შეტევის სტრატეგია. 440 საზოგადოებრივი ორგანიზაციის, მათ შორის მშვიდობის მსოფლიო საბჭოს, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციისა და სხვათა წარმომადგენლები აპირებენ ყოველმხრივ განხილონ, თუ რა წვლილი შეიძლება შეიტანონ უსახლკაროთა ბინებით უზრუნველყოფის წელიწადში. ასეთ წლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1987 წელი გამოაცხადა.

კონფერენციის დღის წესრიგშია აგრეთვე ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი.

ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲒᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲘᲠᲐᲜ-ᲔᲠᲐᲥᲘ ᲓᲐᲑᲝᲛᲑᲕᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲑᲐᲒᲓᲐᲓᲘ. მთავარი სამხედრო სარდლობის ცნობით, ერაყის ავიაცია კვლავ აყენებს დარტყმებს ქალაქებს, სამხედრო და ეკონომიკურ ობიექტებს ირანის ტერიტორიის სიღრმეში. თვითმფრინავებმა და ვერტმფრინავებმა ბალვლილ დღე-ღამეში 568 საბრძოლო გაფრენა შეასრულეს. მათ დაბომბეს თავრიზი, ყუში, დიზფული, ზენჯანი, პორეშბადი, გაანადგურეს მოწინააღმდეგის 100-ზე მეტი ავტომობილი, 25 ჯავშანტრანსპორტიორი, 6 კატარღა.

ერაყის ჯარებმა მოიგერიეს მტრის რამდენიმე შეტევა, რომელიც წინ წაწევას ცდილობდა ბასრის რაიონში.

ოფიციალურმა სამხედრო წარმომადგენელმა უარყო ირანის ცნობა, იმის შესახებ, რომ ირანის ჯარებმა ერაყს მოუსპეს 70 ბრიგადა და ჩამოუგდეს 60 თვითმფრინავი ფორნტის სამხრეთ უბანზე მიმდინარე ბრძოლების დროს. მან თქვა, რომ ირანელებმა უკვე დაკარგეს 100 ათასზე მეტი კაცი ფრონტის სამხრეთ უბანზე და 15 ათასზე მეტი — ცენტრალურ უბანზე.

ირანის შორსმსროელი არტილერია ცეცხლს უშენდა ბასრის საცხოვრებელ უბნებს. მშვიდობიან მოსახლეობაში არიან მოკლულები და დაჭრილები.

ᲜᲘᲪᲐᲛᲮᲝᲜᲘᲐ. თეირანის რადიოს ცნობით, ირანმა 22 იანვარს საღამოს სარაკეტო დარტყმა მიაყენა ბაღდადს. ირანის თვითმფრინავები ბომბავდნენ სამხედრო და ეკონომიკურ ობიექტებს ერაყის ჩრდილოეთში, აგრეთვე მოწინააღმდეგის ჯარების პოზიციებს, კომუნიკაციებსა და თავმყარის ადგილებს ბასრის მიდამოებში. ირანის საჰაერო თავდაცვის საშუალებებმა ორი თვითმფრინავი ჩამოუგდეს მოწინააღმდეგეს ფრონტის სამხრეთ ფლანგზე.

ირანის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მარტო ბასრის აღმოსავლეთით განადგურებულია ერაყის 25 ბრიგადა, მოწინააღმდეგეს დაუხოცეს და დაუჭრეს 33 ათასი კაცი, ხელთ იგდეს 2 ათასზე მეტი ტყვე.

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ

ᲒᲐᲛᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲣᲞᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ მშვიდობის პირობებში — ასეთი მთავარი დასკვნა გამოიტანეს დისკუსიის მონაწილეებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არასამთავრობო ორგანიზაციათა ყოველწლიურ კონფერენციაზე, რომელმაც მუშაობა დაიწყო ამ საერთაშორისო ორგანიზაციის შტაბ-ბინაში.

კონფერენციის მონაწილეებმა თვითანთ გამოსვლებში განაცხადეს, რომ გამალებული ბირთვული შეიარაღებისა და სხვა მასობრივი მოსპობის საშუალებათა წარმოების შეკავებისათვის, განიარაღებისათვის ხალხების ბრძოლა მომავალ თაობათა კეთილდღეობისათვის ბრძოლაა.

ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲒᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲑᲘᲡ „ᲢᲝᲛᲐᲒᲐᲕᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ“

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ამერიკის შეერთებული შტატებმა ამ კვირაში მოაწყო უახლესი ფრთოსანი რაკეტის „ტომაგავკის“ ერთდროულად სამი საფრენი გამოცდა.

ასოშიეიტედ პრესის საინფორმაციო სააგენტო იმოწმებს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალთა წარმომადგენლის განცხადებას და აღნიშნავს, რომ ერთი ფრთოსანი რაკეტა გაუშვეს ხომალდიდან და კიდევ ორი — წყალქვეშა ნავიდან. ფრენის ტრაექტორია, რომლის სიგრძე ათას კილომეტრზე მეტი იყო, გადიოდა ფლორიდის ყურესა და ალაბამის შტატის სამხრეთ ნაწილის თავზე, ხოლო შემდეგ რაკეტები პარაშუტით დაეშვნენ ეგლინის (ფლორიდის შტატი) საავიაციო ბაზის საცდელი პოლიგონის რაიონში.

საგულისხმოა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალებმა „ტომაგავკების“ საცდელი გაშვების შესახებ ცნობა გამოაქვეყნეს მხოლოდ გამოცდის დამთავრების შემდეგ. ეს იმიტომ გაკეთდა, რომ თავიდან აეცილებინათ ამერიკის საზოგადოებრიობის მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები, როგორიც ამ დღეებში გაიმართა კანავერალის (ფლორიდის შტატი) კონცხზე სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზის ტერიტორიასთან, სადაც გამოსცადეს „ტრაიდენტ-2“ უახლესი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა.

ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐᲓᲔᲡ „ᲢᲝᲛᲐᲒᲐᲕᲙᲘᲡ“

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამ კვირაში მოაწყო უახლესი ფრთოსანი რაკეტის „ტომაგავკის“ ერთდროულად სამი საფრენი გამოცდა.

ᲤᲝᲢᲝᲠᲒᲘᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲐᲛᲮᲘᲚᲔᲑᲘ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ:

ᲓᲐᲛᲐᲮᲘᲜᲯᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐ

ᲐᲛ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲒᲘᲤᲝᲠᲘᲐᲥᲝᲗ, ᲒᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲘᲯᲚᲘᲗ. ᲡᲘᲒᲐᲠᲔᲢᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲪᲘᲪᲘᲤᲝᲠᲘᲐᲜᲘ ᲤᲝᲢᲝᲠᲒᲘᲔᲥᲢᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ. ᲔᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲝᲛᲨᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲒᲘ ᲘᲛᲘᲢᲐᲪᲘᲘᲗ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲝᲛᲨᲘ, ᲞᲐᲚᲔᲠᲛᲝᲨᲘ, ᲛᲘᲚᲐᲜᲨᲘ, ᲢᲣᲠᲘᲜᲨᲘ, ᲒᲔᲜᲣᲐᲨᲘ, ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡᲘ ᲡᲘᲚᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲗᲐᲜ — ᲔᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲣᲞᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ

ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓ ᲓᲐᲒᲕᲠᲩᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ახლა, როცა დაგროვილია ბირთვული იარაღის გიგანტური არსენალები, რომლებიც კაცობრობას ნებისმიერ მომენტში სრული განადგურებით ემუქრებიან, ახლანდელი უაღრესად საშიში სიტუაციიდან ერთადერთი შესაძლო გამოსავალია სრული განიარაღების მიღწევა. ეს ნათქვამია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს ა? გავრცელებულ განცხადებაში, რომელიც მიეძღვნა თავდაცვითი პოლიტიკის პრობლემებს.

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲒᲐᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲠᲐᲯᲘᲕ ᲒᲐᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲒᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲘᲠᲐᲜ-ᲔᲠᲐᲥᲘ ᲓᲐᲑᲝᲛᲑᲕᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲑᲐᲒᲓᲐᲓᲘ. მთავარი სამხედრო სარდლობის ცნობით, ერაყის ავიაცია კვლავ აყენებს დარტყმებს ქალაქებს, სამხედრო და ეკონომიკურ ობიექტებს ირანის ტერიტორიის სიღრმეში. თვითმფრინავებმა და ვერტმფრინავებმა ბალვლილ დღე-ღამეში 568 საბრძოლო გაფრენა შეასრულეს. მათ დაბომბეს თავრიზი, ყუში, დიზფული, ზენჯანი, პორეშბადი, გაანადგურეს მოწინააღმდეგის 100-ზე მეტი ავტომობილი, 25 ჯავშანტრანსპორტიორი, 6 კატარღა.

ერაყის ჯარებმა მოიგერიეს მტრის რამდენიმე შეტევა, რომელიც წინ წაწევას ცდილობდა ბასრის რაიონში.

ოფიციალურმა სამხედრო წარმომადგენელმა უარყო ირანის ცნობა, იმის შესახებ, რომ ირანის ჯარებმა ერაყს მოუსპეს 70 ბრიგადა და ჩამოუგდეს 60 თვითმფრინავი ფორნტის სამხრეთ უბანზე მიმდინარე ბრძოლების დროს. მან თქვა, რომ ირანელებმა უკვე დაკარგეს 100 ათასზე მეტი კაცი ფრონტის სამხრეთ უბანზე და 15 ათასზე მეტი — ცენტრალურ უბანზე.

ირანის შორსმსროელი არტილერია ცეცხლს უშენდა ბასრის საცხოვრებელ უბნებს. მშვიდობიან მოსახლეობაში არიან მოკლულები და დაჭრილები.

ᲗᲔᲰᲠᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲝᲕᲜᲘᲗ. თეირანის რადიოს ცნობით, ირანმა 22 იანვარს საღამოს სარაკეტო დარტყმა მიაყენა



ფერთა სიმფონია

დედაქალაქის საგამოფენო დარბაზებში

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სოციალისტური შრომის გმირის, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრის, ღირსეული და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის მარტიროს სარიანის ნამუშევრებისა პერსონალური გამოფენა, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს ეძღვნება. გამოფენაზე წარმოდგენილია ერევნის სარიანის სახლ-მუზეუმის, სომხეთის სახელმწიფო სურათების გალერეის, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მუზეუმში დაცული ექსპონატები და ნამუშევრები კერძო კოლექციებიდან.

ახლო მომავალში კი ერევნის სახელმწიფო სურათების გალერეაში გაიხსნება სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სოციალისტური შრომის გმირის, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ლადო გუდიაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა.

ეს გამოფენები ჩვენი ქვეყნის ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის კიდევ ერთი შესანიშნავი მაგალითია.

საყოველთაოდ აღიარებული სომეხი მხატვრის მარტიროს სარიანის ცხოვრება და შემოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენს ქალაქთან. იგი თბილისში პირველად 1912 წელს ჩამოვიდა, ამიერკავკასიაში თავისი პირველი მოგზაურობის დროს, შემდეგ კი 1915 წელს.

ამჯერად, სარიანი, პოლიტიკური ვითარების გამო, თბილისში 1918 წლამდე დარჩა. იგი, გარდა საზოგადოებრივი საქმიანობისა, პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა, ასწავლიდა ხატვას ლევანდოვსკაიას კერძო გიმნაზიაში. გამოფენაზე წარმოდგენილია რამდენიმე ნამუშევარი, რომლებიც მხატვარმა თბილისში შექმნა. მათ შორის განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ორი ფერწერული ტალო, რომლებიც საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საკუთრებაა.

სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია მ. სარიანს მეგობრული ურთიერთობა ქართველ მხატვრებთან. მის მიმართ ჩვენი საზოგადოების ღრმა სიყვარულისა და პატივისცემის შესანიშნავი გამოვლინება იყო მხატვრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელსაც უდიდესი ინტერესით შეხვდნენ სახვითი ხელოვნების მოყვარულნი.

გამოფენაზე ექსპონირებული ნამუშევრები მხატვრის შემოქმედების თავისებური მატიანეა. თბილისელებს საშუალება ეძლევათ თვალი გაადევნონ მ. სარიანის — ბუნების, მზის, ადამიანის სილამაზის მომღერალი მხატვრის მთელ შემოქმედებას.

1926-1927 წლებში სარიანი საფრანგეთში იყო მივლინებით, სადაც უმეტესად პორტრეტულ ჟანრში მუშაობდა. 1927 წელს იგი მონაწილეობდა პარაზში მოწყობილ სამხატვრო საზოგადოება „მირ ისკუსტვოს“ გამოფენაში, ხოლო 1928 წლის იანვარში ჟენარის გალერეაში მოეწყო მისი პერსონალური გამოფენა, რომელზეც ექსპონირებული იყო 36 ნამუშევარი. სამწუხაროდ, ამ ნამუშევართა უმეტესობა დაიღუპა ხომალდზე ხანძრის დროს.

მარტიროს სარიანმა თავისი შემოქმედება სახვითი ხელოვნების სამ ჟანრს — პეიზაჟს, პორტრეტსა და ნატურმორტს დაუკავშირა. ყოველივე, რასაც მხატვარი ქმნიდა — ბუნება, ადამიანი, ნივთიერი სამყარო — არის დაკვირვების საფუძველზე, აღქმის მეშვეობით მიღებული შთაბეჭდილების მხატვრული გადამუშავება. სარიანის შემოქმედებითი მეთოდის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ იგი მუშაობდა წინასწარი, მოსამზადებელი ესკიზების გარეშე, რაც უაღრესად დიდ პროფესიონალიზმზე მეტყველებს.

მშობლიური ბუნების ნაირფეროვნების, მისი დიდებული სილამაზის და თავისებურების ასახვა იქცა სარიანის ძირითად თემად პეიზაჟში. ბუნებას სარიანი სულიერ სამყაროდ აღიქვამდა. ამიტომაც მისი მხატვრულად სრულყოფილი პეიზაჟები სამშობლოს პოეტური ხოტბაა, მათში სუფევს ფერის, სინათლისა და გამჭვირვალე ჰაერის საოცარი ჰარმონიულობა. პეიზაჟების კოლორიტი უმეტეს შემთხვევაში მაჟორულია. მხატვარს უყვარს ინტენსიური ფერი, კონტრასტულ ფერთა დაპირისპირება.

სარიანის დამოკიდებულება ბუნებასთან ყოველთვის აქტიურია. ესწრაფვოდა რა სინამდვილის ღრმა შესწავლას, იგი ცდილობდა უაღრესად ლაკონიური ხერხებით მიეღწია მაქსიმალური გამომსახველობისათვის პეიზაჟებში, სავსებით უგულებელყოფდა მეორეხარისხოვანს და ამაფრებდა მხოლოდ ძირითადს, მთავარს. სარიანის პეიზაჟებში თანამეზობლობს კამერული ფორმა და მონუმენტურობა, დეკორატულ-სიბრტყოვნური გადაწყვეტა და ჰაეროვანი პერსპექტივთა აღსავსე სივრცეები. მათი ძირითადი დამახასიათებელი თვისება მკვეთრად გამოვლენილი მხატვრული ხედვაა.

20-იან წლებში სარიანის შემოქმედებაში წამყვან ადგილს იკავებს პორტრეტული ჟანრი. თავდაპირველად ეს ფანქრით შესრულებული გრაფიკული პორტრეტებია. გამოფენაზე წარმოდგენილია ამ პერიოდში შექმნილი საუკეთესო ნიმუშები — მსახიობი ქალების ა. ვოსკანიანის და ა. აკოპიანის, მსახიობ ვ. პაპაზიანის პორტრეტები, რომლებიც დიდი პიროფესიული ოსტატობით, საინტერესო კომპოზიციური გადაწყვეტით და ღრმა ფსიქოლოგიზმით გამოირჩევა. სარიანმა შექმნა პორტრეტის საკუთარი ტიპი. ძირითადად ეს მკერდამდე ან წელამდე, ანფასში მოცემული გამოსახულებაა; პორტრეტების უმეტესობა კამერული ხასიათისაა.

30-იან წლებში ფანქარი ფერწერულმა პორტრეტებმა შეცვალა. მათში სარიანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ფონს, რომელიც ძირითადად ინტენსიური, კონტრასტული ლაქებით არის შესრულებული. ამ მხრივ გამოირჩევა გამოფენაზე წარმოდგენილი ადრეული პეროიდის იოსებ მანთაშვილის (1915) და ნინო კომეურჯიანის (1918) პორტრეტები.

30-იან წლებში შექმნილი პორტრეტებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს არქიტექტორ თორომანიანის, პიანისტ იგუმნოვის, რეჟისორ რუბენ სიმონოვის პორტრეტები, რომლებშიც განსაკუთრებული სიძლიერით გამოვლინდა სარიანი — პორტრეტისტის ნიჭი.

სარიანი გატაცებული იყო ნიღბებით. მათ გამოსახულებს ხშირად ეხვდებით როგორც ნატურმორტებში, ასევე პორტრეტებშიც. ამ მხრივ საინტერესოა „ავტოპორტრეტი ნიღბით“, რომელსაც სარიანის მრავალრიცხოვან ავტოპორტრეტთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თავისი ღრმა ფსიქოლოგიზმით. აქვე უნდა ვახსენოთ ომის დროს შექმნილი ავტოპორტრეტი „სან ასაკი“, რომელიც მხატვრის განვლილი ცხოვრების თავისებური დახასიათებაშეფასებაა. მასზე მხატვარი ახალგაზრდა, შუახნის და მოხუცებულია გამოსახული. ნიშანდობლივია განვლილი ცხოვრების სისწორეში თვითდაჯერებულობა, რომელიც ამ საინტერესო კომპოზიციიდან გამოსჭვივის. სურათის სომხეთის პეიზაჟია, რაც გამოხატავს მხატვრის ღრმა რწმენას, რომ „ბუნება ქმნის ადამიანს, რომა მისი შეგვეობით დაინახოს საკუთარი თავი. ადამიანი — ეს არის ბუნება, ბუნება — ეს არის ადამიანი“.

მეცნიერების, ხელოვნების, შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენელთა მრავალი საინტერესო პორტრეტი შექმნა სარიანმა 40-50-იან წლებში.

დამთავლიერებელი უდავოდ მიაპყრობს ყურადღებას 1944 წელს შესრულებულ გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორის არამ ხაჩატურიანის, ცნობილი ქართველი მომღერლის დავით ბადრიძის პორტრეტებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მესამე ჟანრი, რომელსაც ერთგულად ემსახურა მარტიროს სარიანი თავისი შემოქმედების ყველა პერიოდში, ნატურმორტია. ჯერ კიდევ 1915 წელს შექმნილ „დიდ აღმოსავლურ ნატურმორტში“ გამოვლინა მხატვარმა თავისი შესანიშნავი მონაცემები. სარიანის ნატურმორტები, პეიზაჟებისაგან განსხვავებით, კონკრეტულია. აქ მხატვარი, როგორც წესი, ნატურიდან მუშაობდა. სარიანის ნატურმორტების ძირითადი „მოდელი“ ხილი და ყვავილებია. იშვიათად კომპოზიციაში შეაქვს ფაიფურის ჭურჭელი, ადრეულ პეიზაჟებში კი ნიღბები.

ნატურმორტების უმეტესობა დეკორატიულ-სიბრტყოვნურივია და დახვეწილი ფერწერული გადაწყვეტით გამოირჩევა.

განსაკუთრებული სიყვარულით ხატავდა სარიანი ყვავილებს. ალბათ, ამიტომ მიაღწია მათს გადმოცემაში საოცარ ოსტატობას, ლირიკულობას.

საინტერესოა, რომ, როდესაც 1945 წლის 9 მაისს ერევნის მკვდრნი მივიდნენ საყვარელ „ვარპეტთან“, რათა დიადი გამარჯვება მიელოცათ, უზღვავი რაოდენობის ყვავილებით აავსეს მისი სახელოსნო. სარიანმა შექმნა თავისი ერთ-ერთი შესანიშნავი ნატურმორტი ყვავილებით და იგი სამამულო ომის მონაწილე სომეხ მებრძოლებს უძღვნა. ეს ნატურმორტი გარკვეულად პროგრამული ხასიათისაა, აქ კარგად გამოვლინდა მხატვრის დამოკიდებულება ამ ჟანრის მიმართ.

გამოფენაზე დამთვალიერებელს შეუძლია გაეცნოს სარიანის დაზგური და წიგნის გრაფიკის ნიმუშებსაც.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ სარიანი წარმატებით მუშაობდა თეატრში და მრავალი საინტერესო სცენოგრაფიის ავტორი იყო.

მრავალმხრივი, დაძაბული შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობდა მუდამ მარტიროს სარიანი. მან დატოვა დიდი მხატვრული მემკვიდრეობა, რომელიც მარად იცოცხლებს.

ლია დოლაბერიძე.

სურათებზე: „ავტოპორტრეტი ნიღბით“; „არარატი და რიფსიმე“.

ვ. ბენგიურის ფოტო.

ᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ხნის წინათ ჩემი მეგობრის, ერევნის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის, პროფესორ ავიკ ისააკიანის წერილი მივიღე. ავიკ ისააკიანი დიდი სომეხი პოეტის ავეტიქ ისააკიანის შვილიშვილი გახლავთ და ქართველებთან მეგობრობის პაპისეულ ტრადიციას ერთგულად აგრძელებს. ამიტომ სულაც არ გამკვირვებია, როცა მის საკმაოდ ვრცელ წერილში იგი აღტაცებით მწერდა — რაფის საიუბილეო საღამოზე ერევანში რევაზ ჯაფარიძემ ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა და ხალხმაც მჭეხარე ტაშით დაჯილდოვაო. და, ბოლოს, საგულდაგულოდ მთხოვა, რევაზ ჯაფარიძე სომხეთზე ნარკვევს ბეჭდავს და წიგნად რომ გამოვა, ერთი ცალი ავტორის ხელით წარწერილი ჩემი ბიბლიოთეკისათვის აუცილებლად გამომიგზავნეო.

სომეხი მეგობრის თხოვნამ მიბიძგა ერთხელ კიდევ გადამეკითხა რ. ჯაფარიძის ნარკვევი „ოთხი დღე ნაირის ქვეყანაში“, რომელიც 1986 წლის ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა (№8, 9, 10). ამ ნარკვევის გადაკითხვის შემდეგ პირველი შთაბეჭდილება იყო ის, რომ ქართველ მწერალს მძაფრად გახუცდია სომხური მიწის თავისებური სილამაზე, მთავარის ლანდშაფტივით მკაცრი პეიზაჟები, თვალში საცემია ისიც, რომ სომხეთში ყველას, განურჩევლად საზოგადოებრივი მდგომარეობისა, დიდი კრძალვა, განსაკუთრებული სიყვარული აქვს თავისი ისტორიული ძეგლებისადმი.

მწერალი აღტაცებული წერს სომეხი ხალხის ისეთ შვილებზე, რომლებმაც უდიდესი სიყვარულით აღადგინეს უძველესი წარმართული ძეგლი — გარნი. ახლა ძნელია წარმოიდგინო, რომ ეს ძეგლი საუკუნეების მანძილზე ქვის გროვად იყო ქცეული.

მწერალი ხოტბას არ იშურებს გამოჩენილი სომეხი არქიტექტორ ალ. თამანიანის მიმართ, რომელმაც 20-იან წლებში შეადგინა ალიზის ქოხებიანი ერევნის განაშენიანების გენერალური გეგმა. ამ გეგმის მიხედვით შენდება დღესაც ერევანი.

სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ვარდგეს პეტროსიანის ხელშეწყობით მართლაც ბევრი რამის ნახვა მოუსწრია რ. ჯაფარიძეს ოთხ დღეში. ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება მწერალზე მოუხდენია ზიწერ-ნაკაბერდის მემორიალს. ეს არის 1915 წლის გენოციდის ულმობელ დროს დაღუპულთა მემორიალი, რომელიც ერევნის თავზე, პლატოზეა აღმართული. სამგლოვიარო მუსიკის ხმა მსმენელს სევდასა და ნაღველს აღუძრავს. ყოველწლიურად 24 აპრილს აქ აღინშნავენ გენოციდის დღეს და მსოფლიოს ყველა კუთხეში მცხოვრები სომეხი ამ დღეს აქეთ მოისწრაფის, რათა ერთხელ კიდევ პატივი სცეს დაღუპულთა ხსოვნას. ქართველი მწერალი ჭირისუფლის გულშემატკივრობით თვალახილი დგას დაღუპულთა მემორიალის წინ და იმ უბედურთა მწარე ბედზე ფიქრობს. „მემორიალიდან როგორღაც დამძიმებული, მაგრამ სულიერად მხნე და ამაღლებული გამოვედი“, — წერს მწერალი.

აი ჩარენცის თაღი. ამ ბორცვიდან ტკბებოდა ცაცაზიდული არარატის მწვერვალების ცქერით სამშობლოს ბედზე დაფიქრებული დიდი სომეხი პოეტი...

კიდევ ერთხელ ჭეშმარიტ ქმოზაზე

მწერალი განაგრძობს მოგზაურობას. განსაკუთრებით შთამბეჭდავია აშტარაკის რაიონის სოფელ მუღანში ყოფილი რუსული ენის პედაგოგის, ამჟამად მუღანის წმინდა გიორგის ეკლესიის მცველის არშალუის ლუკასინიანთან შეხვედრა. მაგრამ მის სიხარულს საზღვარი არა აქვს, როცა ამ მოხუცისაგან გაიგონებს პეტრე ჭაბუკიანის ქებას, ქართული ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობის საქმეში მისი ღვაწლისა და დამსახურების გამო.

მატენადარანი — სომხური ხელნაწერების უმდიდრესი საცავი, საუცხოო მინიატურებით მორთული უზარმაზარი წიგნი, უნიკალური „სარინტარი“, რომელიც ორმა დამ შორეული ქვეყნიდან ომისა და ტანჯვის გზაზე გამოატარა და ჩამოიტანა ერევანში. რ. ჯაფარიძე მოსწრებულად შენიშნავს: „ეტყავ თუ წერია შიგ ისეთი რამ, რაც ზნეობრივ ან სხვა ღირებულებით წიგნის საარაკო თავგადასავალს გადააჭარბებდაო“.

ნარკვევში კიდევ არაერთ საინტერესო და საყურადღებო საკითხს ეხება ავტორი. სამწუხაროდ, მასში ფაქტობრივი უზუსტობა შეგვხვდა. ჩარენცი საქართველოში არ დაბადებულა. იმედია, ამას ნარკვევის ცალკე წიგნად გამოცემის დროს გაითვალისწინებს ავტორი.

რევაზ ჯაფარიძემ იმიგზაურა არა მორეულ ქვეყანაში, არამედ აქვე, მეზობელ სომხეთში, ნახა მისი დიდებული წარსული, დღევანდელი აღმშენებლობა და დაწერა შესანიშნავი ნარკვევი, რომელსაც შეიძლება ორი ერის ძმობა-მეგობრობის საგალობელი ეწოდოს.

ბონდო არველაძე.

მავლენიერდეთ, მავჯანსაღდეთ, მავმგრდეთ!

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲨᲘᲜᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

„განთიადის“ სპორტული ჰორიზონტები

თავისი 30 წლის იუბილე თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადის“ კოლექტივმა აღნიშნა „ლია კარის“ დღით — სპორტული დღესასწაულით, რომელშიც მონაწილეობის მიღება ყველა მსურველს შეეძლო.

მეავეჯეებს ესტუმრნენ თბილისის დიმიტროვის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ავიამშენებელის“ და თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატის ფიზკულტურელები, სპორტსაზოგადოებების „შრომითი რეზერვებისა“ და „განთიადის“ აღსაზრდელები, ახლომდებარე უბნების მცხოვრებლები. საინტერესოდ ჩაიარა სამბიტაცის, ძიუდოისტებისა და ქართული ჭიდაობის მოყვარულთა, მოჭადრაკეების, მოშაშეებისა და ბატუტზე მხტომელთა ასპარეზობამ. დღესასწაული, რომელიც რამდენიმე საათს გრძელდებოდა, დამთავრდა თვითმოქმედი კოლექტივების ლამაზი თეატრალიზებული წარმოდგენით.

— მეზობელი დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებთან ურთიერთობის ასეთი ფორმა ჩვენთვის ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, — თქვა გაერთიანება „განთიადის“ პროფკომის თავმჯდომარემ მალხაზ ტატაშვილმა. — ყოველთვიურად ვაწყობთ შეხვედრებს სპორტულ ასპარეზზე. სხვადასხვა პროფესიის ადამიანები უკეთ ეცნობიან ერთმანეთს, მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობა მყარდება კოლექტივებს, ბრიგადებს, ოჯახებს შორის.

რაიონი, სადაც „განთიადი“ მდებარეობს, მუშათა რაიონია და საწარმოს ხელმძღვანელობა სულ უფრო დიდ ყურადღებას უთმობს დასვენების ორგანიზაციას სწორედ საცხოვრებელ ადგილებში, იგი მოსახლეობას მარტო თავის სპორტულ ბაზას — ღია ბილიანებს, ტირს, სპორტის სათამაშო და საქიდაო სახეობებისათვის განკუთვნილ სპორტდარბაზებს როდი გადასცემს (ამ სპორტდარბაზში, სხვათა შორის, თავის დროზე პირველი ნაბიჯები გადადგა დიდ სპორტში სახელგანთქმულმა საბჭოთა ათლეტმა, ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლევან თედიაშვილმა). საწარმოს ძალებით № 101 საბინაო-საექსპლოატაციო უბანთან არსებულ საცხოვრებელ მიკრორაიონში აშენდა ჯალრთველობის ქალაქი. აქ მუშაობს სპორტის სათამაშო სახეობათა სექციები, რომლებშიც ფიზკულტურის გამოცდილი ინსტრუქტორის გიორგი დათუნაშვილის ხელმძღვანელობით გაერთიანებულია 10-15 წლის ასამდე ყმაწვილი. მშობლები მშვიდად არიან — ბავშვები თავისუფალ დროს სასარგებლოდ ატარებენ. ჯანმრთელობის ქალაქში გახსნილია რბენის და სპორტული სიარულის მოყვარულთა ჯგუფებიც.

— ჩვენი სპორტკლუბი 700-ზე მეტ ფიზკულტურელს, ანუ თითქმის ყოველ მესამე მუშაკს აერთიანებს, — თქვა ფიზკულტურის ინსტრუქტორმა ალექსანდრე ტიმოფეევმა, რომელიც „განთიადი“ მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხანია მუშაობს.

აქ სპორტული მეთვეზეობისა და ტურიზმის სექციებია ყველაზე პოპულარული. მეთვეზე-სპორტსმენების ასპარეზობაში, როგორც წესი, ასზე მეტი კაცი მონაწილეობს. ტურიზმის სექციამ კი, რომელიც უკვე ათი წელია არსებობს, გაიტაცა დაახლოებით 400 მუშა-მოსამსახურე, მათი ოჯახის წევრები. ტურისტების გუნდი ნებაყოფლობით სპორტული საზოგადოება „განთიადის“ რესპუბლიკური პირველობის არაერთგზის გამარჯვებულია.

ფიზკულტურული მოძრაობის ენთუზიასტები მიღწეულს არ სჯერდებიან. ცდილობენ ისე წარმართონ მუშაობა, რომ ფიზკულტურა და სპორტი კოლექტივის თითოეული წევრისათვის ხელმისაწვდომი გახდონ. ახლახან საწარმოში რეკომენდაცია მისცეს გამოჯანსაღებელი ტანვარჯიშის „საშინაო დავალების“ დანერგვას. თითოეულისათვის მისი ფიზიკური შესაძლებლობის მიხედვით შედგენილია ვარჯიშების კომპლექსი. „საშინაო დავალების“ შესრულების ხარისხს განსაზღვრავენ კონკურსზე, რომლის გამარჯვებულებსა და პრიზიორებს სპეციალური სმენა ერდე ნიშნებით და სამახსოვრო პრიზებით აჯილდოებენ.

იმას, თუ როგორი ყურადღება ეთმობა აქ ჯანმრთელობას, მოწმობს უახლესი წლებისათვის საწარმოს სოციალური განვითარების გეგმა. მასში გათვალისწინებულია სპორტული ბაზების განმტკიცება და გაფართოება.

— წლის დამლევს საწარმოს გარშემო ტერიტორიაზე გაიხსნება ღია სპორტკომპლექსი, — გვაცნობა პროფკომის თავმჯდომარემ მალხაზ ტატაშვილმა. — მოეწყობა მოედნები სპორტის სათამაშო სახეობებისათვის, მძლეოსნური ბილიკები და სექტორები, ტანვარჯიშის ქალაქი. დაიწყება 25-მეტრიანი ღია საცურაო აუზის მშენებლობა. მიზნად დავისახეთ, რომ საწარმო მთელი მიკრორაიონის ნამდვილ სპორტულ ცენტრად ვაქციოთ.

ვ. კულიკი.
(საქინფორმი).

საბურნირო ორბიტა

ბიათლონი. ზამორის სახეობათა სპორტის ცნობილ ცენტრში რუბინოლდნგში (გფრ) გამართულ მსოფლიო თასის გათამაშების ორიგი ეტაპზე წარმატებით იასპარეზა მურმახსკელმა ახდრია ზენკოვმა: მან ყველას აჯობა 20 კილომეტრზე რბოლაში. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა სპორტსმენმა დისტანცია უჯარიმოდ გაიარა და თანაც საკმაოდ სწრაფად — 57 წუთი და 37 წამი.

ᲛᲫᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐ. დარბაზში გამართულ საქართველოს ზამთრის ჩემპიონატზე გაიმარჯვა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ნაკრებმა. 8 ნაკრებ გუნდს შორის მეორე ადგილზე გაიმოვიდნენ „ქარიშხალის“, მესამეზე — „სპარტაკის“ სპორტსმენები. პირად ჩათვლაში ორი პირველი ადგილი მოიპოვა გორგი ჯაფაიძისმა („ლოკომოტივი“). იგი უძლიერესი იყო 60 და 200 მეტრზე რბეაში (შესაბამისად 6,7 და 22,5 წამი). სიგრძეზე ხტომაში ყველას აჯობა მარკ მალისოვმა („სპარტაკი“)—7,21 მ. 60 მეტრზე თარჯიმნებში ფინიშთან პირველი იყო დინამოელი დიმიტრი კალაძე — 7,8 წამი. ზამთრის საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც პეხაზაში 7 თებერვალს დაიწყება, ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებიც იასპარეზებს.

ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ. ომსკში დაიწყო სსრ კავშირის 56-ე ჩემპიონატი. პირველი ორთაბრძოლები დამაჯერებლად წარმართეს ცნობილმა ოსტატებმა, რომელთა შორის არიან მსოფლიო ჩემპიონი ლენინაკანელი ლევან ჯუფლაკიანი და მოსკოველი მიხეილ მამიაშვილი, ევროპის ექს-ჩემპიონი, მინსკელი მიხეილ პროკუდინი და შარშადელ საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებული ომსკელი თემირჯან კალიმულინი.

ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ. იუგოსლავიის ქალაქ იაიცეში მიმდინარე ქალთა საერთაშორისო შეჯიბრების ათი ტურის შემდეგ 7,5 ქულით ლიდერობს ლეხიბგრადელი ირინე ლევატინა. მეორე ადგილზეა უნგარელი ეუჟა ვერეცი-პეტროხიჩი (6 ქულა). ბიჭვინთელი ელენე ახმილოვსკაია, შირიახა პეტეკთან (იუგოსლავია) ერთად მეოთხე-მეხუთე ადგილებს ინაწილებს (5-5 ქულა). სამი ტურიც და, შეჯიბრება დამთავრდება.

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გადავუხადოთ ყველას, ვინც დიდი პატივი დაგვდო და გაიზიარა ჩვენი ოჯახის დიდი მწუხარება მიხეილ ბაგრატის ძე ღვინჭილიას გარდაცვალების გამო.

მ. ღვინჭილიას ოჯახი.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

საქართველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 26 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ტადას ბლინდა“. I და II სერია. 12.05 — მოსწავლეთათვის. „ნაძვისხის ზეიმზე“. 12.50 — ჩვენს დიად სამშობლოში. დოკუმენტური ფილმი „სუზდალი“. 13.00 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი მათემატიკაში. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — ეკონომიკის კურსი. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — მოსწავლეთათვის. რუსული ენა. 16.45 — საქართველოს ისტორია. 17.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 17.25 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამშვიდლო“. 17.45 — სატელევიზიო ჩანახატი „იბარე, ჭერო“. 18.05 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე. 18.45 — „სიფხიზლე ცხოვრების ნორმაა“. 19.15 — პროფკავშირთა ყრილობის შესახვედრად. 19.30— საერთაშორისო დღიური. 20.00 — მოამბე. 20.35 — „მუსიკის მოყვარულთა კლუბი“. 21.20 — ინდოეთის ეროვნული დღესასწაულის გამო. „უძველესი და ახალგაზრდა ინდოეთი“ (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — კინომსახიობის თეატრის სპექტაკლი „ზუთიოსფელი ასაკ...“

მეორე პროგრამა. 16.40 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. მხატვრული ფილმი „ჩაპაევი“. 18.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „მე აქ ვცხოვრობ“ და „ყაბარდო-ბალყარეთი“.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნოქალაქევი — არქეოპოლისი“. 10.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.25 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დიალოგი“. 10.55 — „საერთაშორისო დღიური“. 11.25 — სატელევიზიო დადგმა „მოსაწყენი ამბავი“. 12.50 — ქართული დოკუმენტური ფილმი. „მემენქანე ვარ“. 13.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — აბიტურიენტებისათვის. ქიმია. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შვეისწავლოთ ინგლისური ენა. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — განცხადებები. 17.00 — ქართული მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სამი მოთხრობა ტელეფონით“. 17.30 — „შემოქმედებითი პორტრეტი“ — პეტრე ამორანაშვილი. 18.40 — რეკლამა. 18.45 — სახელმწიფო მიღება — ხარისხის გარანტია. 19.35 — „პოეზია“. გურამ პეტრიაშვილი. 20.00 — მოამბე. 20.35 — ქართული მხატვრული ფილმი „სხვისი შვილები“. 21.50 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ვლადიმერ ვი-

სოკეი — მონოლოგი. 23.40 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შვიდ ბორცვზე“. 17.05 — მოსწავლეთათვის. საზოგადოებათმცოდნეობა. 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქი ანდროპოვი“. 18.05 — მასწავლებლის საათი. ქართული ლიტერატურა.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 28 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მეურნეობაც და ტექნიკუმიც“. 10.00 — ბავშვებს — მზეცების შესახებ (ლენინგრადიდან). 10.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იაშვილების ოჯახი“ (საქართველოს ტელეფილმების სტუდიის ნაწარმოები (მ.). 11.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 11.20 — ქართული მხატვრული ფილმი „სხვისი შვილები“. 12.35 — მოსწავლეთათვის. საბჭოთა სახელმწიფოს და სამართლის საფუძვლები. 13.05 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მზედელი“. 13.35 — მათემატიკის ტელეკურსი. 14.05 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შვეისწავლოთ გერმანული ენა. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ძველი ქართული საგალობლები“. 17.25 — განცხადებები. 17.30 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ივლისი — 1917 წელი“. 18.00 — მოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრამა. „ჩვენი სოფელი“ (კასპის რაიონის შრომითი რესურსები). 18.50 — „ყვარლიდან მთაწმინდამდე“ (ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის გამო). გადაცემა მეხუთე. 19.20 — სატელევიზიო პროგრამა „ახალგაზრდობა“. 20.00 — მოამბე. 20.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „მისი ახალგაზრდობის რეცეპტი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — სსრ კავშირის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. 23.15 — საესტრადო პანორამა.

მეორე პროგრამა. 17.05 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ“. 18.05 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 29 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — დოკუმენტური ფილმი „ჩრდილოეთ მაგნიტკის კომეუნისტები“. 10.35 — „რამდენიმე შეხვედრა ნინო ანანიაშვილთან“. შეხვედრა პირველი — ჩაიკოვსკის ბალეტი „გედის ტბა“. 12.50 — დოკუმენტური ფილმი „10 წუთი სარი ტურალიეზე“. 13.00 — ტელეკურსელთათვის. ბიოლოგია. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — მოსწავლეთათვის. „თეატრი და ბავშვები“. 17.40 — სპორტული გადაცემა. 18.15